



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის აგვისტოში რეალური მშპ წლიურად 6.6%-ით გაიზარდა, წინა თვეში არსებული 6.5%-იანი წლიური ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2025 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.9%-ით გაიზარდა. აგვისტოს ზრდა ძირითადად განაპირობა ინფორმაცია და კომუნიკაციის, საფინანსო, პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობის, ენერგეტიკის და ვაჭრობის დარგებმა. ამასთან, კლება დაფიქსირდა მშენებლობის და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში. ჩვენი პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზრდება 2025 წელს, ხოლო 6.0%-ით 2026 წელს (იხილეთ უახლესი მაკრო პროგნოზები აქ).

ინფლაცია: 2025 წლის სექტემბერში წლიური ინფლაცია 4.8%-მდე დაჩქარდა, წინა თვეში არსებული 4.6%-ის შემდეგ. სექტემბრის ინფლაციაში ყველაზე მაღალი კონტრიბუცია ადგილობრივ ინფლაციას ჰქონდა, რომელიც წლიურად 6.3%-ით გაიზარდა (+6.6% წ/წ წინა თვეში), შემდეგ მოდის შერეული საქონლის ინფლაცია, რომლის წლიური ზრდის ტემპი 7.8%-მდე დაჩქარდა (6.3% წ/წ წინა თვეში). საპირისპიროდ, იმპორტირებული საქონლის ფასები წლიურად 1.1%-ით შემცირდა სექტემბერში. საბაზო ინფლაცია, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, 2.1%-მდე შენედა 2025 წლის სექტემბერში წინა თვის 2.8%-ის შემდეგ. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2025 წლის სექტემბერში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+11.9% წ/წ, +3.89პპ), ჯანდაცვა (+9.0% წ/წ, +0.76პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+4.1% წ/წ, +0.26პპ), ტრანსპორტი (-2.1% წ/წ, -0.26პპ) და ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (-3.7% წ/წ, -0.21პპ). ჩვენი პროგნოზით, საშუალო წლიური ინფლაცია 2025 წელს 3.7%-ის, ხოლო 2026 წელს 2.9%-ის დონეზეა მოსალოდნელი.

მიმდინარე ანგარიში: სებ-ის მიხედვით, 2025 წლის მე-2 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 3.0% შეადგინა, რამაც განაპირობა 2025 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 5.3%-მდე შემცირება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არსებული 7.0%-დან. ეს გაუმჯობესება ძირითადად მომსახურების ბალანსის 17.1%-იანი ზრდით არის განპირობებული, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო შემოსავლების ზრდამ ICT-ის (+43.8% წ/წ, \$560 მლნ), ტურიზმის (+3.8% წ/წ, \$2.0 მლნ) და ტრანსპორტის (4.6% წ/წ, \$827 მლნ) მიმართულებით. ამასთან, საქონლით ვაჭრობის დეფიციტი - საგარეო დისბალანსის ყველაზე დიდი წყარო - წლიურად 0.5%-ით 3.4 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაფინანსების დომინანტურ წყაროდ დარჩა 2025 წლის პირველ ნახევარში და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 65.3%-ით დააფინანსა. ჩვენი პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 5.0%-ის დონეზეა მოსალოდნელი 2025 წელს (2024 წელს 5.4% იყო).

2026 წლის ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, რომელიც 5.0%-იან ეკონომიკურ ზრდას და 4.0%-იან დეფლატორს ითვალისწინებს. ამასთან, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.5%-იან ნიშნულზეა დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები წლიურად 5.9%-ით იზრდება მშპ-ის 24.2%-მდე და პრივატიზაციიდან მოსალოდნელი შემოსავლები 350 მლნ ლარია. ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები მშპ-ის 29.4%-ის დონეზეა დაგეგმილი, სადაც კაპიტალური ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 6.9%-ს შეადგენს (2025 წლის მოსალოდნელი 7.9%-ია). ამასთან, ბიუჯეტის პროექტით მთავრობის ვალი 2026 წელს მშპ-ს 34.9%-ს გაუტოლდება, რომლის კომპოზიციაში შიდა ვალის წილი იზრდება მშპ-ს 11.9%-მდე (2025 წლის 11.4%-დან), ხოლო საგარეო ვალის წილი მცირდება მშპ-ს 23.0%-მდე (2025 წლის 24.5%-დან).

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2025E	2026F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	32,365	36,515
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	10,074	11,015
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	3.7%	2.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	5.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.0%	4.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.5%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	35.9%	34.9%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თსკარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის ტემპი



წყარო: საქსტატი

წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სებ



ფულადი ბაზარი

გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა.

უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2025 წლის 7 ოქტომბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 3.9-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2025 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	ვალის ნაშთი მლნ ლარი*
1 წლამდე	450	120	390
1 წელზე მეტი	1,738	615	10,309
სულ	2,188	735	10,699

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


* 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	98.05	6.45	263.77
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	93.71	6.57	324.40
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/B2	101.69	8.95	558.31
SILKRDH 09/30	USD	400	7.500%	Sep-25	Sep-30	BB-/B1	100.75	7.32	394.26
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/B2	99.53	9.26	555.58
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/B2	102.56	9.31	593.25
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/	105.78	7.11	324.26

გალტ & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00%
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.08	8.13%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	100.91	8.63%
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	17.7	8.50%	Apr-25	Apr-27	-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10.0	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10.0	8.50%	Jun-25	Jun-27	-/-/-	n/a	n/a
ALMA	USD	30.0	8.50%	Jul-25	Jul-27	-/-/-	n/a	n/a

გალტ & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & ტაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/ Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	99.63	7.25%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	100.37	6.15%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-/-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	7.75%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	7.75%
ALMA	EUR	8.5	7.25%	Jul-25	Jul-27	-/-/-/-	n/a	n/a
GEL								
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-/BB-	100.00	11.58%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB/-/-/-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB/-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	-/-/-/B+	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Apr-25	Apr-27	-/-/-/B+	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Jul-25	Jul-30	-/-/-/BB-	n/a	n/a
Georgian Healthcare Group	GEL	350	TIBR + 3.75%	Sep-25	Sep-30	-/-/-/BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Sep-25	Sep-30	-/-/-/BB-	n/a	n/a

გალტი & თავარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტი & თავარტი



ობლიგაციები


ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg


ადგილობრივი კორპორატიული
ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი

საჯარო



წყარო: გალტი & ტაგარტი

ადგილობრივი კორპორატიული
ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი
მიხედვით




წყარო: გალტი & ტაგარტი



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

Lion Finance Group-ის (BGEO LN) აქციები დაიხურა 76.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.29% წინა კვირასთან შედარებით და +8.10% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 226 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 74.00 - 77.30 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 64 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 44.95 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.51% წინა კვირასთან შედარებით და +3.81% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 462 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 43.80 - 46.30 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 112 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 23.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.85% წინა კვირასთან შედარებით და +0.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 264 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 23.10 - 24.60 ღიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 58 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E			P/B		
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე,	წ/წ ცვლ.	წლის დას.	2023	2024	2025F	2023	2024	2025F
Lion Finance Group	BGEO	GBP	76.05	3,380	43.8%	108.1%	61.5%	4.36x	2.92x	6.04x	1.25x	1.02x	1.65x
TBC	TBC	GBP	44.95	2,532	11.4%	79.1%	44.1%	4.68x	4.80x	6.37x	1.15x	1.12x	na
Halyk Bank	HSBK	USD	25.80	7,033	9.6%	51.8%	32.7%	2.57x	na	3.74x	0.72x	na	43.22x
Akbank	AKBNK	TRY	59.45	309,140	13.1%	15.3%	-8.3%	2.86x	7.96x	4.84x	0.9x	1.4x	1.03x
Garanti	GARAN	TRY	135.70	569,940	19.0%	21.2%	9.1%	2.84x	5.73x	4.96x	1.00x	1.58x	1.36x
Isbank	ISCTR	TRY	13.23	330,750	9.2%	8.9%	-2.3%	3.23x	7.43x	3.94x	0.87x	1.06x	0.83x
PKO	PKO	PLN	73.68	92,100	2.4%	36.6%	23.3%	11.44x	na	8.80x	1.39x	na	1.65x
PEKAO	PEO	PLN	181.20	47,560	4.8%	28.7%	31.4%	5.99x	5.68x	6.95x	1.31x	1.13x	1.39x
Millennium	MIL	PLN	14.93	18,112	6.6%	83.2%	67.8%	17.78x	15.08x	7.44x	1.47x	1.39x	2.07x
Mbank	MBK	PLN	930.00	39,522	16.8%	57.6%	70.0%	na	10.36x	8.50x	1.65x	1.31x	2.05x
BRD	BRD	RON	21.20	14,774	16.0%	5.5%	13.7%	7.62x	8.52x	9.75x	1.42x	1.38x	1.49x
Banca Transilvania	TLV	RON	28.08	25,746	17.8%	23.2%	23.7%	6.69x	4.86x	6.44x	1.46x	na	1.59x
Komerčni	KOMB	CZK	1,040.00	197,651	-2.3%	33.0%	22.6%	8.76x	9.29x	11.47x	1.09x	1.27x	1.56x
Mean								6.57x	7.51x	6.86x	1.21x	1.27x	1.52x
Median								5.34x	7.43x	6.44x	1.25x	1.29x	1.56x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მხოლოდ პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)